

2019 წლის 14 მარტი, ქალაქი ქუთაისი

განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საკონკურსო კომისიის  
სხდომის მოწვევის და მისი დღის წესრიგის განსაზღვრის თაობაზე

1. მოწვეულ იქნეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საკონკურსო კომისიის სხდომა 2019 წლის 22 მარტს, 15:00 საათზე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, ნიუპორტის ქ. №32, დარბაზი №4.

შემდეგი დღის წესრიგით:

ა) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების სხდომის მდივნის-მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის, კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სექტორის სპეციალისტის - პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის, მანდატურის სამსახურის მანდატურის - პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობისათვის საკონკურსო პროგრამისა და პირობების დამტკიცება;

ბ) კანდიდატის შეფასების წესის განსაზღვრა;

გ) კონკურსის შედეგების გამოცხადების წესის განსაზღვრა;

დ) კონკურსთან დაკავშირებით სხვა საორგანიზაციო საკითხების განხილვა;

ე) ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატების სარეგისტრაციო ბარათისა და შეფასების ფორმების დამტკიცება.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსმა-მეორადი ტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა ნათია ლოლაძემ განახორციელოს კომისიის წევრთა ინფორმირება სხდომის ჩატარების შესახებ.

კომისიის თავმჯდომარე:



ქეთევან აწყურელი